ფოთის საქალაქო სასამართლოს

საკონკურსო - საატესტაციო კომისიის სხდომის

ოქმი №3

ქ.ფოთი

21 ივლისი, 2016 წელი

საკონკურსო - საატესტაციო კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა - ფოთის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი, საკონკურსო - საატესტაციო კომისიის თავმჯდომარე - **თეიმურაზ სიხარულიძე,**

სხდომას ესწრებოდნენ:

საკონკურსო - საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე **თეა ზერაია** (საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მდივანი) - ფოთის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე;

საკონკურსო - საატესტაციო კომისიის წევრები :

შოთა სირაძე - ფოთის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე;

ნინო გოგენია - სსიპ ივ.ჯავახიშვილის სახელობის ქ.ფოთის №3 საჯარო სკოლის ინგლისური ენისა და ლიტერატურის პედაგოგი - დამოუკიდებელი სპეციალისტი.

შორენა ჩოკორაია - საქართველოს საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული კავშირის ფოთის საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარე - მოხელეთა პროფესიული კავშირის წევრი.

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული იყო ერთი საკითხი: ფოთის საქალაქო სასამართლოს აპარატის საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის (სასამართლოს მენეჯერის) ვაკანტურ თანამდებობაზე ჩატარებული კონკურსის შედეგების შეჯამება.

კომისიის წევრებმა მოისმინეს თეიმურაზ სიხარულიძის ინფორმაცია რომლის თანახმადაც 2016 წლის 21 ივლისს „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, გამოცხადდა კონკურსი ფოთის საქალაქო სასამართლოს აპარატის საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის (სასამართლოს მენეჯერის) ვაკანტურ თანამდებობაზე.

ფოთის საქალაქო სასამართლოში:

N	თანამდებობის დასახელება	ვაკანსია
1	ფოთის საქალაქო სასამართლოს აპარატის საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი (სასამართლოს მენეჯერი)	1

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, მათგან, ვინც განცხადება წარადგინა ელექტრონული ფორმით საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის მეშვეობით, საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2016 წლის 19 ივლისის №2 ოქმის თანახმად, წარმატებით გაიარა აპლიკაციათა შერჩევის ეტაპი და დაბარებული იქნა გასაუბრებაზე, შემდეგი პირები:

I. სასამართლოს აპარატის საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის (სასამართლოს მენეჯერი) ვაკანსიაზე:

1. ნინო ახალაია
2. ნიკო გადელია
3. ზვიად კარტოზია
4. დარეჯან კუკავა
5. აკაკი მიქანაძე
6. ნანა ხოშტარია
7. ნანა შამათავა

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად არ გამოცხადდნენ შემდეგი პირები:

1. დარეჯან კუკავა
2. ნიკო გადელია

II. სასამართლოს აპარატის საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის (სასამართლოს მენეჯერი) ვაკანსიაზე გამოცხადდნენ:

1. ნინო ახალაია
2. ზვიად კარტოზია
3. აკაკი მიქანაძე
4. ნანა ხოშტარია
5. ნანა შამათავა

კონკურსის პროცედურებთან დაკავშირებით რაიმე პრეტენზია არ დაფიქსირებულა.

საკონკურსო საატესტაციო კომისიის მიერ კონკურსში მონაწილე თითოეულ პირს ცალ-ცალკე ეყარა კენჭი. აღინიშნა კონკურსანტების ცოდნა და გამოცდილება, პიროვნული მახასიათებლები, მიენიჭათ შესაბამისი შეფასებები. კომისიამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება და „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 34-ე მუხლის შესაბამისად, ფოთის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეს ვაკანტურ სასამართლოს აპარატის საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის (სასამართლოს მენეჯერი) თანამდებობაზე დასანიშნად წარედგინა კანდიდატი:

1. **ნანა შამათავა**

კონკურსზე გამოცხადებული კანდიდატების შეფასების ფორმები და კონკურსანტების გასაუბრების პროცესის ამსახველი ვიდეო ჩანაწერები ერთვის ფოთის საქალაქო სასამართლოს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის (კონკურსანტებთან გასაუბრების) სხდომის N3 ოქმს და წარმოადგენს მის შემადგენელ ნაწილს.

კომისიის თავმჯდომარე

თეიმურაზ სიხარულიძე -

თავმჯდომარის მოადგილე

თეა ბერაია -

კომისიის წევრი

შოთა სირაძე -

კომისიის წევრი

ნინო გოგენია -

კომისიის წევრი

შორენა ჩოკორაია -